1941.

უფასოდ

სსსრ განათლების სახალხო
კომისარიატის ბრძანებათა და
განკარგულებათა

კრებული

№ 1 | წელიწადი მეხუთე | 1941 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შინაარსი

1. ბრძანება № 6498—პოლიტსაგანმანათლებლო მუშაობის შესახებ ხობის, აბაშის, თელავისა და ქობულეთის რაიონებში 2
2. ცირკულარულად-საბჭოთა საქართველოს 20 წლისთავისა და მუშურ გლეხური წითელი არმიის 23 წლისთავის ჩატარების შესახებ 5
3. საბჭოთა საქართველოს 20 წლისთავი საბავშვო ბაღებში 7
4. ინსტრუქცია—სკოლამდელთა აღზრდის დაწესებულებებსა და მეთოდურ კაბინეტებში სამუშაო საათების მოწესრიგების შესახებ 11
5. დებულება საქართველოს სს რესპუბლიკის ანტირელიგიური მუზეუმისა 13

ОБЯЗАТЕЛЬНЫЙ ЭКЗЕМПЛЯР

განსახკომი
თბილისი—1941

ბრძანება № 6498

განათლების სახალხო კომისარიატისადმი

1940 წ. 6 ნოემბერი

ეროვნული ბიბლიოთეკა

პოლიტსაგანმანათლებლო მუშაობის შესახებ ხობის, აბაშის, თელავისა და ქობულეთის რაიონებში

გავეცანი რა გამოკვლევის მასალებს საქ. კ. პ. (ბ) ცენტრ. კომიტეტის 1940 წ. 8 თებერვლის დადგენილების რეალიზაციის მიმდინარეობის შესახებ ხობის, აბაშის, თელავისა და ქობულეთის რაიონებში, აღვნიშნავ, რომ მიუხედავად ერთგვარი გაუმჯობესებისა, აღნიშნული რაიონების მთელ რიგ პოლიტიკურ საგანმანათლებლო დაწესებულებათა მუშაობა ჯერ კიდევ არ დგას სათანადო სიმაღლეზე.

რიგ საკლუბო დაწესებულებებში ჯერ კიდევ სუსტად არის დაყენებული მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა: არა სისტემატურად ტარდება პოლიტინფორმაცია, ლექციები და საუბრები, სუსტად არის გაშლილი საცნობო საკონსულტაციო, სამხედრო-თავდაცვითი და—ფიზკულტურული მუშაობა (თელავის რაიონის სოფ. კონდოლის, მატაანის, იყალთოს სას. კლუბები, ქობულეთის რაიონის სოფ. ქობულეთის, ლეღვას, ჭახათის, ხუცუბნის სას. კლუბები, ხობის რაიონის სოფ. ხეთის სას. კლუბი, ბიის ქოხ-სამკითხველო, აბაშის რაიონის სოფ. მარნის ქოხ-სამკითხველო და სხვ.), არ არის ჩამოყალიბებული ანტირელიგიური და აგროზოოტექ-პროპაგანდის წრეები, სუსტია დახმარება პარტისტორიის დამოუკიდებლად შემსწავლელთადმი, ცუდად მუშაობენ საკლუბო კედლის გაზეთები (ქობულეთის რაიონის სოფ. ჭახათის სასოფლო კლუბი. თელავის რაიონის სოფ. კისისხევის და ქვემო-ხოდაშენის ქოხ-სამკითხველოები, ზემო-ალვანის და მატაანის სას. კლუბები, ხობის სარაიონო კლუბი, ქობულეთის კულტურის სახლი).

ადგილი აქვს საკლუბო მუშაკთა ხელფასის დაგვიანებას (ხობის რაიონის სოფ. ახალი ხიბულის სას. კლუბი),კადრების დენადობას (ქობულეთის რაიონის სოფ. ჭახათის სასოფლო კლუბი, თელავის რაიონის სოფ. ნაფარეულის სას. კლუბი). ჯერ კიდევ არ არის მოწესრიგებული საკლუბო დაწესებულებათა ბიუჯეტის ათვისება (ხობისა და თელავის რაიონები).

მიუხედავად სახკომსაბჭოს 1940 წ. 1 აგვისტოს დადგენილებისა, დღემდე არ არის განთავისუფლებული სხვადასხვა ორგანიზაციებისაგან თელავის რაიონის სოფ. ფშავლის სასოფლო კლუბის 5 ოთახი, მატაანის სასოფლო კლუბის 2 ოთახი, სარაიონო კლუბის შენობა.

ზოგიერთ საკლუბო დაწესებულებაში არ განუხილავთ ამხ. კალინინის წერილი პოლიტსაგანმანათლებლო დაწესებულებათა მუშაობის შესახებ, ზოგიერთი კი დღემდე არ არის ჩაბმული XVIII სრულიად-საკავშირო პარტყრილობის სახელობის სოცშეჯიბრებაში (თელავის რაიონის სოფ. კონდოლის, აკურისა და იყალთოს სას. კლუბები, აბაშის რაიონის სოფ. მარნის ქოხ-სამკითხველო, ხობის სარაიონო კლუბი). ხობის, თელავისა და ქობულეთის რაიონებში შესაფერისად არ არის ჩატარებული საზამთრო მუშაობისათვის სამზადისი.

ძალზე სუსტად მუშაობენ თელავის, ხობისა და ქობულეთის რაიონების განათლების განყოფილებები საკლუბო დაწესებულებებზე ოპერატიული ხელმძღვანელობისა და დახმარების მხრივ: აღნიშნულისა გამო

ვბრძანებ:

1. თელავის, ქობულეთის, ხობისა და აბაშის რაიონების განათლების განყოფილებებმა გადაჭრით გააძლიერონ კონკრეტულ-ოპერატიული ხელმძღვანელობა საკლუბო დაწესებულებებზე, სისტემატურად გაუწიონ მათ ორგანიზაციულ-მეთოდური დახმარება და

მით უზრუნველჰყონ ამ დაწესებულებებში მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის ცალკეული სახეების—ყოველდღიური პოლიტინფორმაციის, ლექციების, საუბრების, საცნობო—საკონსულტაციო, სამხედრო-თავდაცვითი და ფიზკულტურული მუშაობის, ანტირელიგიური და აგროზოოტექპროპაგანდის სათანადო დონეზე დაყენება, რისთვისაც:

ა) ადგილობრივ ორგანიზაციებთან შეთანხმებით რაიონის საკლუბო დაწესებულებათა აქტივიდან გამოჰყონ ხმა-მაღალი მკითხველები იქ, სადაც ისინი ჯერ კიდევ არ არიან გამოყოფილი;

ბ) ორი დეკადის ვადაში ჩამოაყალიბონ საცნობო-საკონსულტაციო ბიუროები ყველა იმ საკლუბო დაწესებულებასთან, სადაც ასეთები ჯერ არ არის შექმნილი, და გააძლიერონ არსებული ბიუროების მუშაობა, ამ საქმეში ინტელიგენციის ადგილობრივი ძალების ფართოდ ჩაბმით;

გ) ყველა საკლუბო დაწესებულებასთან ჩამოაყალიბონ ანტირელიგიური და აგროზოოტექპროპაგანდის, სამხედრო-თავდაცვითი და ფიზკულტურულ წრეებში, ფართოდ ჩაბან ამ წრეების მუშაობაში სპეციალისტები (აგრონომები, ექიმები, მასწავლებლები, თადარიგის მეთაურები, ფიზკულტურელები და სხვ.);

დ) უზრუნველჰყონ სისტემატური დახმარება პარტიის ისტორიის დამოუკიდებლად შემსწავლელთადმი და ამ მიზნით მოაწყონ სათანადო ლექციები პარტიის ისტორიის ცალკეულ საკითხებზე, ჩაატარონ კონსულტაციები, მოაწყონ ექსკურსიები, „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ ცალკეული თავების შესწავლისათვის საჭირო დამხმარე ლიტერატურის გამოფენა და სხვა.;

ე) მიაღწიონ საკლუბო კედლის გაზეთების მუშაობის შემდგომ გაუმჯობესებას, ამ მუშაობაში მეტი ოპერატიულობის შეტანას;

ვ) გააძლიერონ საკლუბო დაწესებულებებთან არსებული საბჭოები და ჩამოაყალიბონ ისინი იქ, სადაც ჯერ კიდევ არ არსებობენ, დაეხმარონ მათ საკლუბო აქტივის შემოკრებაში იმგვარად, რომ აქტივისტთა რიგებში ჩაბმული იქნან მოწინავე კოლმეურნეები, სტახანოველები, სოფლის ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები;

თ) დაეხმარონ სოფლის საკლუბო დაწესებულებებს სამუშაო გეგმების შედგენაში და სისტემატურად აწარმოონ გეგმების შესრულების შემოწმება.

2. ხობის რაიონის განათლების განყოფილებამ დასვას საკითხი ხობის რაიაღმასკომის პრეზიდიუმის წინაშე საკლუბო მუშაკთა ხელფასის დაგვიანებით გაცემის აღკვეთის შესახებ და ერთი დეკადის განმავლობაში უზრუნველჰყოს სოფ. ახალი ხიბულის სას. კლუბის გამგის და სხვა საკლუბო მუშაკთა ხელფასის დავალიანების ლიკვიდაცია.

3. ხობის, აბაშის, ქობულეთის და თელავის რაიონების განათლების განყოფილებებმა დასვან საკითხი რაიაღმასკომების პრეზიდიუმების წინაშე, რათა საკლუბო დაწესებულებებზე ბიუჯეტით გათვალისწინებული და წინა კვარტალებში გაუცემელი თანხები გაცემულ იქნას მთლიანად მეოთხე კვარტალში.

4. თელავისა და ხობის რაიონების განათლების განყოფილებებმა დასვან საკითხი რაიონის პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების წინაშე, რათა საქ. სსრ სახკომსაბჭოს 1940 წ. 1 აგვისტოს დადგენილების შესაბამისად საკლუბო დაწესებულებათა შენობები უმოკლეს ვადაში ჰქნან განთავისუფლებული მათში ჩასახლებული ორგანიზაციებისაგან.

5. თელავის რაიონის განათლების განყოფილებამ ერთი დეკადის ვადაში ჩაატაროს ამხ. კალინინის წერილის განხილვა რაიონის ყველა საკლუბო დაწესებულებაში, სადაც ეს დღემდე არ გაკეთებულა.

6. ქობულეთის, თელავის, ხობისა და აბაშის რაიონების განათლების განყოფილებებმა დასახონ და გაატარონ საჭირო ღონისძიებანი საკლუბო დაწესებულებათა შორის სოცშეჯიბრების გასაშლელად.

7. თელავის რაიონის სახ. განათლების გამგეს ამხ. ყარაულაშვილს მიეთითოს იმაზე, რომ მან, მიუხედავად განსახკომის გაფრთხილებისა, ვერ უზრუნველჰყო რაიონის

საკლუბო დაწესებულებები შესაფერისი ხელმძღვანელობითა და დახმარებით, რის შედეგათაც მთელ რიგ საკლუბო დაწესებულებებში მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა თითქმის ჩაშლილია.

მიღებულ იქნას ცნობად ამხ. ყარაულაშვილის განცხადება იმის შესახებ, რომ მან ბოლო ხანებში გააუმჯობესა მუშაობა საკლუბო დაწესებულებებზე ხელმძღვანელობის დარგში.

8. ქობულეთის რაიონის განათლების განყოფილების გამგეს ამხ. ფირცხალაიშვილს მიეთითოს რაიონის საკლუბო დაწესებულებებისადმი არასაკმაო ხელმძღვანელობაზე.

9. კოლეგიის უახლოეს სხდომაზე მოსმენილ იქნას ხობის რაიონის განათლების განყოფილებისა და პოლიტსაგანმანათლებლო მუშაობის სამმართველოს ინფორმაცია აღნიშნული რაიონის საკლუბო დაწესებულებათა მდგომარეობისა და მუშაობის შესახებ.

10. დაევალოს ავტონ. რესპუბლიკების განსახკომებს და ავტ. ოლქის [illegible] რაიონის სახალხო განათლების განყოფილებებს განიხილონ ეს ბრძანება და მის საფუძველზე დასახონ და გაატარონ კონკრეტული ღონისძიებანი პოლიტსაგანმანათლებლო დაწესებულებათა მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

11. ამ ბრძანების შესრულების შემოწმებას ვავალებ განსახკომის პოლიტსაგანმანათლებლო მუშაობის სამმართველოს უფროსს ამხ. ა. გაბისონიას, რომელმაც მომახსენოს შემოწმების შედეგები.

საქ. სსრ განათლ. სახ. კომისრის მოადგილე მ. ბურჭულაძე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების განსახკომებს და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის განათლების განყოფილებას.

ყველა რაიონისა და ქალაქის განათლების განყოფილების, კულტურის სახლების, სარაიონო, სასოფლო, საკოლმეურნეო კლუბების, ქოხსამკითხველოების, ბიბლიოთეკებისა და მუზეუმების გამგეებს (დირექტორებს).

საერთაშორისო ამბების უაღრესად გართულებულ პირობებში ტარდება წელს ჩვენს ქვეყანაში ორი შესანიშნავი საზეიმო თარიღი: საბჭოთა საქართველოს 20 წლისთავი და მუშურ-გლეხური წითელი არმიის 23 წლისთავი.

კომუნისტური პარტიის, დიდი **სტალინის**, საბჭოთა ხელისუფლების ბრძნული საგარეო პოლიტიკის შედეგად, უკანასკნელი წლების მანძილზე უჩვეულოდ გაიზარდა და განმტკიცდა ჩვენი დიადი სოციალისტური სამშობლოს საერთაშორისო ძალა და ავტორიტეტი.

გაიზარდა და გაფართოვდა საბჭოთა კავშირის ხალხთა ერთიანი, სტალინური მეგობრობით შემჭიდროებული ოჯახი, რომელსაც შეემატა პოლონელი პანებისაგან განთავისუფლებული დასავლეთ უკრაინისა და დასავლეთ ბელორუსიის მრავალი მილიონი მშრომელი, კარელია-ფინეთის, ლატვიის, ლიტვის, ესტონეთის საბჭოთა რესპუბლიკები, რუმინეთის ბოიარების სისხლიანი ბატონობისაგან განთავისუფლებული ბესარაბია და ჩრდილოეთი ბუკოვინა.

ქართველი ხალხი უდიდესი მიღწევებით ეგებება საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 20 წლისთავს.

რევოლუციამდე ცარიზმის კოლონია, ხოლო თებერვლის რევოლუციის შემდეგ, სამი წლის მანძილზე, მენშევიკური ბანდების სათარეშოდ ქცეული საქართველო, ეროვნული აღორძინებისა და სამეურნეო - კულტურული აყვავების გზას დაადგა საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ.

20 წლის მანძილზე გიგანტური ნაბიჯებით განვითარდა ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია.

აყვავდა და გაიფურჩქნა ფორმით ნაციონალური და შინაარსით სოციალისტური კულტურა.

ხალხის წიაღიდან აღიზარდნენ ახალი ტალანტები, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის, მეცნიერების, ტექნიკისა და კულტურის მოწინავე ადამიანები.

ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით, ხალხთა ბელადის ამხანაგ **სტალინის** სისტემატური მზრუნველობისა და ყურადღების მეოხებით, ქართველი ხალხის ღირსეული შვილის, ნაწრთობი სტალინელის, ამხანაგ ლავრენტი ბერიას ხელმძღვანელობით, ორდენოსანი საბჭოთა საქართველო ჩადგა საბჭოთა კავშირის მოწინავე რესპუბლიკათა რიგებში.

წელს, 193 მილიონიანი საბჭოთა ხალხი, უდიდესი აღფრთოვანებით, ენთუზიაზმითა და სიხარულით ზეიმობს სოციალისტური სამშობლოს ფხიზელი გუშაგის, გმირული მუშურ-გლეხური წითელი არმიის 23 წლისთავს.

საბჭოთა ხალხის, ბოლშევიკური პარტიის პირმშომ, უძლეველმა წითელმა არმიამ და სამხედრო-საზღვაო ფლოტმა უთვალავი გმირული ფურცლები ჩასწერეს ჩვენი სამშობლოს მშრომელთა მილიონების ბედნიერებისათვის ბრძოლის სახელოვან ისტორიაში.

წითელი არმია, მსოფლიოში უძლიერესი არმიაა, ის უძლეველ ციხე-სიმაგრედ არის აღმართული ჯავშანში ჩასმულ ჩვენი თვალ-

უწვდენელი ქვეყნის საზღვრებზე და მზად არის ათმაგად გაძლიერებული საპასუხო დარტყმით გაანადგუროს ყველა მტერი და ორგული მისსავე ტერიტორიაზე, თუ კი იგი გაბედავს ჩვენი წმინდათაწმინდა საზღვრების ხელუხლებლობის დარღვევას.

საბჭოთა მრავალერიან ხალხს განუსაზღვრელად უყვარს ლენინისა და სტალინის მიერ შექმნილი წითელი არმია, რომლის არსებობის ყოველი წლისთავი ნამდვილი სახალხო ზეიმის ხასიათს ღებულობს ჩვენს ქვეყანაში.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 20 წლისთავისა და მუშურ-გლეხური წითელი არმიის 23 წლისთავის აღსანიშნავად პოლიტსაგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩატარებულმა მასობრივმა საგიტაციო-პროპაგანდისტულმა მუშაობამ ყოველნაირად უნდა შეუწყოს ხელი მასების კიდევ უფრო მტკიცედ დარაზმვას ლენინ-სტალინის პარტიის გარშემო, ამ მუშაობამ კიდევ უფრო უნდა გააძლიეროს და გააღრმავოს მშრომელებში ინტერნაციონალური სოლიდარობის, საბჭოთა პატრიოტიზმის წმინდა გრძნობა, მათი მობილიზაციური მზადყოფნა „რათა არავითარ „შემთხვევითობას“ — და ჩვენი გარეშე მტრების არავითარ ოინებს არ შევხვდეთ მოუმზადებელნი“... (სტალინი).

გამომდინარე აქედან, თითოეული პოლიტგანდაწესებულების ამოცანას შეადგენს:

1. ფართოდ გააცნოს მშრომელებს საბჭოთა საქართველოს მიერ 20 წლის მანძილზე მოპოვებული უდიდესი წარმატებანი; გააცნოს მათ მუშურ-გლეხური წ/არმიის როლი და მნიშვნელობა საბჭოთა ქვეყნის უშიშროებისა და ხელუხლებლობის დაცვის საქმეში, ქვეყნის სამეურნეო მშენებლობის ფრონტზე მოპოვებულ წარმატებათა მიღწევაში რისთვისაც:

ა) თითოეულ საკლუბო დაწესებულებაში მოეწყოს მოხსენებები და საუბრები საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 20 წლისთავისა და მუშურ-გლეხური წ/არმიის 23 წლისთავის შესახებ;

ბ) ლექტორებად, მომხსენებლებად, მოსაუბრეებად გამოყოფილი ამხანაგები, დამტკიცებულნი უნდა იქნენ ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების მიერ;

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) საკლუბო დაწესებულებებსა ყველა ტიპის ბიბლიოთეკებში მოეწყოს თემატურად შერჩეული ლიტერატურის გამოფენა, შედგეს და თვალსაჩინო ადგილას გაიკრას სათანადო ლიტერატურის, საგაზეთო და საჟურნალო სტატიების სარეკომენდაციო სიები; ბიბლიოთეკებმა ჩაატარონ ინდივიდუალური და ჯგუფური კონსულტაციები საზეიმო თარიღებთან დაკავშირებული ლიტერატურის დამუშავების საკითხებზე;

დ) თითოეულ საკლუბო დაწესებულებასა და მუზეუმში მოეწყოს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების არსებობის 20 წლისთავისა და წითელი არმიის 23 წლისთავისადმი მიძღვნილი გამოფენები, რომლებიც სათანადოდ შერჩეული ექსპონატების საშუალებით თვალსაჩინოდ გააშუქებენ მხარის, რაიონის, სოფლის წარსულსა და აწმყოს, მათი სამეურნეო და კულტურული მშენებლობის სხვადასხვა ეტაპებს, მიღწევებს, რომლებითაც ისინი ეგებებიან საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 20 წლისთავს და უჩვენებენ აგრეთვე სოციალისტური მშენებლობის, სოფლის მეურნეობის, კულტურის მოწინავე ადამიანებს; მოხდენილად შერჩეული ექსპონატების — უმთავრესად ფოტო-სურათების, ჟურნალ-გაზეთებიდან ამოჭრილი ილუსტრაციების, პლაკატების, დიაგრამების და სხვათა საშუალებით გაშუქებულ უნდა იქნეს წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის მიერ განვლილი სახელოვანი გზა; ექსპონატებს შორის ფართო ადგილი უნდა დაეთმოს იმ მხარის, რაიონის მკვიდრთა ჩვენებას, რომლებმაც წითელი არმიის რიგებში ყოფნისას, ჩვენი ქვეყნის მტრებთან ბრძოლაში გმირობა და სიმამაცე გამოიჩინეს, დაჯილდოებულნი არიან ორდენებით, მედლებით და სხვ. უზრუნველყოფილ უნდა იქნეს გამოფენის გარშემო კვალიფიციური ახსნა-განმარტებითი მუშაობის, ლექციების, საუბრებისა და კონსულტაციების ჩატარება;

ვ) თითოეულ საკლუბო დაწესებულებასა და ბიბლიოთეკაში უნდა მოეწყოს თემატურად შერჩეული პოლიტიკური და მხატვრული ლიტერატურის ხმამაღალი კითხვა, წაკითხულის გარშემო საუბრების ჩატარება; ცალკეულ შემთხვევაში, კლუბის აქტივისტების დახმარებით უნდა უზრუნველყოთ ამ წიგნების, ბროშურების, ჟურნალების მიწოდება მშრომელთათვის ოჯახებში;

ი) ყველა პოლიტგანდაწესებულებამ გამოსცეს ტექნიკურად კარგად გაფორმებული კედლის გაზეთის საზეიმო ნომერი;

ზ) საკლუბო დაწესებულებაში გაშვებულ იქნეს თემატურად შერჩეული კინო-ფილმები, რომლებსაც უნდა ახლდეთ ზეპირი ახსნა-განმარტებანი;

კ) უზრუნველყოფილ იქნეს კლუბებსა, ქოხ-სამკითხველოებსა და ბიბლიოთეკებში რადიო-გადაცემათა კოლექტიური მოსმენა, მოსმენილის გარშემო ახსნა-განმარტებითი საუბრების ჩატარებით;

ლ) გაცხოველდეს საკლუბო დაწესებულებებთან არსებული სამხედრო-თავდაცვითი წრეების მუშაობა, მოეწყოს ექსკურსიები და შეხვედრები წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის ნაწილებთან;

მ) განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს პოლიტგანდაწესებულებათა გამშვენიერების საკითხს; თითოეული კლუბი, ქოხ-სამკითხველო, ბიბლიოთეკა და მუზეუმი მორთული იქნეს, როგორც შიგნით, ისე გარეთ სათანადო ლოზუნგებით, პლაკატებით, ბელადების სურათებით, ყვავილწნულებით და სხვ.

ნ) 12—24 თებერვალს საკლუბო დაწესებულებებში ჩატარდეს საქართველოს საბჭოთა ხელისუფლების დამყარებიდან 20 წლისთავისა და მუშურ-გლეხური წითელი არმიის 23 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო საღამოები სათანადო მოხსენებითა და მხატვრული განყოფილებით, რომელშიაც მონაწილეობა უნდა მიიღონ მხატვრული თვითმოქმედების წრეებმა (დრამატიული, მომღერალთა, მოცეკვავეთა, მეჩონგურეთა და სხვა).

2) შეფარდებულ იქნეს საქართველოს საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 20 წლისთავისა და წ/არმიის 23 წლისთავის საზეიმო დღეებთან საკლუბო დაწესებულებების შენობათა აგების დამთავრება და გახსნა.

3. სადღესასწაულო მზადებასთან დაკავშირებულ ღონისძიებათა გატარება მჭიდროდ უნდა დაუკავშირდეს სოფლის ინტელიგენციის ფართოდ ჩაბმას პოლიტგანდაწესებულებათა ყოველდღიურ ცხოვრებასა და საქმიანობაში, მათი მონაწილეობის შემდგომ გაძლიერებას მასობრივ-პოლიტიკურ, კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობაში.

საქ. სსრ განათლების სახ. კომისარი
გ. კიკნაძე

პოლიტსაგანმანათლებლო მუშაობის სამმართველოს უფროსი
ა. გაბისონია

საბჭოთა საქართველოს ოცი წლისთავის დღესასწაული საბავშვო ბალებში.

25 თებერვალს სრულდება საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 20 წელი. ეს არის ბედნიერი ცხოვრების, თავისუფალი განვითარების, სოციალისტური მშენებლობის ყველა უბანზე ბრძოლებისა და ბრწყინვალე გამარჯვებების 20 წელი.

სამუდამოდ დამსხვრეულია ჩაგვრისა და ექსპლოატაციის ხუნდები. სამუდამოდ დამხობილია მენშევიკების ბატონობა, რომელთაც თავიანთი ბრძანებლობის მოკლე ვადაში ქვეყანა სრულ გაპარტახებამდის მიიყვანეს.

საქართველო უმდიდრესი მრავალსაუკუნოვანი კულტურის ქვეყანაა. ეს ის ქვეყანაა, რომელმაც მსოფლიოს მისცა მთელი კაცობრიობის ბელადი დიდი **სტალინი.** ეს არის

ქვეყანა, რომელმაც მოგვცა დიდი **სტალინის** საუკეთესო თანამებრძოლები ს. ორჯონიკიძე და ლ. ბერია.

20 წლის მანძილზე საქართველოს რესპუბლიკას უდიდესი მიღწევები აქვს მოპოვებული სახალხო მეურნეობის ყველა დარგში. არაჩვეულებრივად გაიფურჩქნა ფორმით ნაციონალური და შინაარსით სოციალისტური კულტურა.

ეს გამარჯვებანი, ეს მიღწევები, შედეგია დიდი ბელადის — ამხანაგი **სტალინის** ყოველდღიური ზრუნვისა და ხელმძღვანელობისა.

განსაკუთრებით დიდი გამარჯვებები მოიპოვა საქართველომ ქართველი ხალხის საუკეთესო შვილის ამხ. **ლ. ბერიას** ხელმძღვანელობის დროს.

25 თებერვალს მთელი ქართველი ხალხი, საბჭოთა კავშირის ყველა ხალხებთან ერთად დღესასწაულობს თავისი განთავისუფლების 20 წლისთავს, აჯამებს განვლილი წლების შედეგებს და სახავს გზას კომუნიზმის ახალი გამარჯვებებისაკენ.

სკოლამდელი მუშაკები, რომელთაც მინდობილი აქვთ პასუხსაგები საქმე — ჩვენი საბჭოთა ბავშვების აღზრდა, საბჭოთა საქართველოს 20 წლისთავის დღესასწაულის დღეს დიდ სიხარულს განიცდიან: საერთო გამარჯვებებით გამოწვეული სიხარული უერთდება სკოლამდელ დარგში მოპოებულ მიღწევებით გამოწვეულ სიხარულს.

მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებამ შესძლო განეხორციელებია საზოგადოებრივი სკოლამდელი აღზრდის იდეა. მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს იქცა სკოლამდელი საქმე კერძო წამოწყებიდან, „ბურჟუაზიულ ქველმოქმედების აკრობატობიდან, რომელიც საუკეთესო მუშებს სამართლიანად სძაგდათ და ეზიზღებოდათ“, სახელმწიფოებრივ საქმედ, „რომელსაც ნამდვილად შესწევს უნარი გაანთავისუფლოს ქალი, ნამდვილად შესწევს უნარი შეამციროს და მოსპოს მისი უუფლებობა“ (ლენინი „დიადი წამოწყება“).

ლენინი საბავ. ბაღებს უწოდებდა „კომუნიზმის კვირტებს“. 20 წლის განმავლობაში ეს კვირტები აყვავებულ დიდ ბაღად იქცა ჩვენი პარტიისა და მთავრობის მზრუნველობის შედეგად.

20 წლის მანძილზე მთელი საქართველო დაიფარა საბ. ბაღების ქსელით. ამჟამად ჩვენ 636 მუდმივი საბ. ბაღი გვაქვს, ხოლო ზაფხულის თვეებში იშლება უზარმაზარი ქსელი საბავშვო მოედნებისა. ჩვენი ბავშვები სარგებლობენ პარტიის, მთავრობის, მთელი საბჭოთა ხალხის შეუნელებელი ზრუნვით, სიყვარულითა და ყურადღებით.

ასეთ ზრუნვას, ასეთ სიყვარულს მშრომელთა ბავშვების მიმართ მხოლოდ ჩვენს ქვეყანაში, გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყანაში შეიძლება ჰქონდეს ადგილი.

20 წლის განმავლობაში საქართველოში უმაღლესი სასწავლებლების, ტექნიკუმების, სპეციალური კურსების მიერ მომზადდა კადრები. ჩვენში არა ერთი და ორია ისეთი სკოლამდელი მუშაკები, რომლებიც მთელი ოცი წლის მანძილზე, დღიდან საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა, სკოლამდელ ფრონტზე მუშაობენ. ესენი მუშაობის შესანიშნავ ნიმუშებს იძლევიან და თავის გამოცდილებას უზიარებენ ახალგაზრდა მუშაკებს.

20 წლის ხელმძღვანელობამ საბავ. ბაღებზე, 20 წლის მუშაობამ თავის თავზე, ხელი შეუწყო საბ. ბაღებში აღმზრდელობითი მუშაობის უფრო მაღალ საფეხურზე აყვანას.

სკოლამდელი მუშაკები აჯამებენ 20 წლის მუშაობის შედეგებს და ისახავენ შემდგომი მუშაობის გზებს, იმისათვის, რომ სკოლამდელი საქმე მუდამ რჩებოდეს ჩვენი კულტურული მშენებლობის ერთერთ მოწინავე უბნად.

ჩვენს ქვეყანაში ბავშვები თავიანთი საშობლოს პატარა პატრიოტები არიან, ისინი დიდებთან ერთად განიცდიან ჩვენი მიღწევებითა და გამარჯვებებით გამოწვეულ სიხარულს.

საბჭოთა საქართველოს 20 წლისთავის დღესასწაულმა ბავშვებს უნდა მისცეს ახალი მკვეთრი განცდები, ახალი შთაბეჭდილებანი, რაც უფრო გააღრმავებს **სიყვა-**

რულს ჩვენი ძვირფასი სამშობლოსადმი, სიამაყეს ჩვენი მიღწევებისათვის, სიყვარულს ჩვენი ბელადებისადმი.

საბჭოთა საქართველოს 20 წლისთავის შესრულების დღესასწაულს საბ. ბაღები აღნიშნავენ ბავშვებთან და მშობლებთან.

იმისათვის, რომ დღესასწაული უფრო გასაგები გახდეს ბავშვებისათვის აღმზრდელები გააცნობენ ბავშვებს ჩვენს სოც. მშენებლობის მიღწევებს. გაცნობა უნდა დავიწყოთ ყველაზედ ახლო გარემოდან. უპირველეს ყოვლისა ბავშვებს შეიძლება ვუჩვენოთ და ვუამბოთ, თუ როგორ გაფართოვდა მათი საბ. ბაღი. აუცილებელია აგრეთვე მიაქციონ ყურადღება მშენებლობას უახლოეს უბნებში, სახლები, საბ. ბაღები, სკოლები, თეატრები, ტრანსპორტის ახალი სახეები (რკინისგზა ოსეთში, აფხაზეთში, ტროლეიბუსი თბილისში და სხვ.), დანარჩენ მშენებლობას ბავშვები შეიძლება გაეცნონ ილუსტრაციებით, რისთვისაც უნდა გამოვიყენოთ ჟურნალ-გაზეთები.

აღმზრდელები უამბობენ ბავშვებს ჩვენი ბელადების — **ლენინისა** და **სტალინის** შესახებ, რომელთა ხელმძღვანელობითაც საქართველო განთავისუფლდა ჩაგვრისაგან, უამბობენ **სტალინის** თანამებრძოლებზე — **ამხ. ს. ორჯონიკიძეზე** და **ამხ. ლ. ბერიაზე.**

ჩვენი ბელადების ცხოვრებაზე საუბრის დროს, აღმზრდელები ხაზგასმით აღნიშნავენ მათ სიყვარულსა და ზრუნვას ბავშვებზე.

აღმზრდელები უამბობენ ბავშვებს წითელ არმიაზე, რომლის დახმარებითაც საქართველომ გაინთავისუფლა თავი მონობისაგან და რომელიც ამ ოცი წლის მანძილზე გმირულად იცავს ჩვენს სამშობლოს მტრებისაგან.

სიმღერები, ლექსები, ინსცენირობები, რომლებსაც ბავშვები ამ დღისთვის მოამზადებენ, მდიდარ მასალას მისცემს თვით ზეიმის გასაფორმებლად.

ზეიმის დღეს ბავშვებს შეიძლება გავუმართოთ პატარა კონცერტი უფროსების მონაწილეობით. შეიძლება თოჯინების თეატრიც მოეწყოს თუ სცენარის შინაარსი შესაფერი იქნება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმ საბავშვო ბაღებმა, რომლებიც უკვე რამდენიმე წელიწადია რაც არსებობენ, შეიძლება ბავშვების ზეიმზე მოიპატიჟონ თავიანთი ყოფილი ბავშვები (აღსაზრდელები) — ამჟამად მფრინავები, ტანკისტები, წითელარმიელები, ერთი-ორი მათგანი გასაგებ ფორმაში უამბობს ბავშვებს იმის შესახებ, რომ ისინიც ამ საბავშვო ბაღში იყვნენ, ეხლა კი წითელარმიაში არიან და სამშობლოს იცავენ მტრებისაგან.

თუ საბ. ბაღი დიდი ხანი არ არის რაც არსებობს და მისი პირველი აღსაზრდელები მხოლოდ სკოლის ასაკის არიან, **მაშინ** ეს მოწაფეები უამბობენ ბავშვებს თავიანთ წარჩინებულ სწავლაზე, თანაც ხაზს გაუსვამენ იმ გარემოებას, რომ ამაში მათ დაეხმარა საბ. ბაღი, იტყვიან იმასაც, რომ როდესაც ისინი სულ დიდები იქნებიან, ემსახურებიან ჩვენს სამშობლოს და დაიცავენ მას მტრისაგან. თავის სიტყვის დამთავრებისას ყოფილი აღსაზრდელები, უსურვებენ ბავშვებს გაიზარდონ ძლიერები, ღონიერები, რომ გახდნენ დამცველები საბჭოთა ქვეყნისა.

25 თებერვლის საყოველთაო სახალხო დღესასწაული ბევრ შთაბეჭდილებებს მისცემს ბავშვებს, ხოლო დღესასწაული თვით საბავშვო ბაღში შეავსებს ამ შთაბეჭდილებებს, უფრო მახლობელს, უფრო გასაგებს გახდის მათ ბავშვებისათვის .

ლამაზად მორთული შენობა (ყვავილები, მწვანე მცენარეები, დროშები, ლოზუნგები მშობლებისათვის, მთელი შენობის წესრიგი და სისუფთავე) მორთულ მოკაზმული ბავშვები — ყველაფერი ეს სათანადო განწყობას ქმნის.

სასურველია ამ დღეს ბავშვებს საბ. ბაღმა საჩუქრად დაურიგოს გულსაკიდი ნიშნები: ვარსკვლავები, ალმები, ბანტები. ზეიმი უნდა დამთავრდეს გამასპინძლებით.

ყოველ საბ. ბაღში აუცილებლად უნდა მოეწყოს მშობელთა საერთო კრება. თუ საბ. ბაღი რამდენიმე წელიწადია არსებობს, კრებაზე დაპატიჟებს თავის ყოფილ აღსა-

ზრდელებს, ამჟამად უკვე სრულწლოვან მოქალაქეებს. ამ კრებაზე გამგე გააკეთებს მოხსენებას 20 წლის მანძილზე სკოლამდელი საქმის განვითარების შესახებ საქართველოში. მოხსენების შინაარსი აგებული უნდა იყოს შემდეგ მომენტებზე:

სკოლამდელი საქმე — ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ერთერთი მონაპოვარია, სკოლამდელი საქმე საბჭოთა ქვეყანაში — სახელმწიფოებრივი საქმეა. სკოლამდელი საქმის მნიშვნელობა ბავშვებისა და მშობლებისათვის.

ოჯახისა და საბ. ბაღის შეთანხმებული მუშაობის აუცილებლობა ბავშვების კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდისათვის.

მშობლების პასუხისმგებლობა ბავშვების აღზრდაზე.

მიღწევები სკოლამდელთა აღზრდის დარგში.

ქსელი, ბიუჯეტი, ლიტერატურა ბავშვებისათვის, აღმზრდელებისათვის სათამაშოების შექმნა და ასე შემდეგ. მათი საბავშვო ბაღის ისტორია, მიღწევები მისი არსებობის წლების მანძილზე (შენობა, ბიუჯეტი, მოწყობილობა).

მშობლების დახმარება ყველა ამ მიღწევებში: სიძნელეები მუშაობაში და მათი გადალახვა მშობლებისა და საბჭოთა საზოგადოებრივობის დახმარებით.

მოხსენებას გამგე დაამთავრებს მოწოდებით: რომ მომავალშიც შეთანხმებულად იმუშაონ ოჯახმა და საბ. ბაღმა; რომ მშობლებმა უფრო მეტი ყურადღება გამოიჩინონ ბავშვების აღზრდის საკითხების მიმართ.

ამ კრებაზე შეიძლება მოგონებებით გამოვიდნენ საბ. ბაღის აღმზრდელები, რომელნიც რამდენიმე წლის განმავლობაში მუშაობენ სკოლამდელ დარგში, განსაკუთრებით ისეთები, რომელნიც სტაჟის მიხედვით საბჭოთა საქართველოს ტოლები არიან; მოგონებებში მუშაკები აღნიშნავენ თუ როგორ პირობებში დაიწყო მათი მუშაობა, თანდათანობით როგორ უმჯობესდებოდა ეს პირობები და ამის პარალელურად როგორ იზრდებოდა მათი მუშაობის ხარისხიც.

საბ. ბაღის ყოფილი აღსაზრდელები შეიძლება გამოვიყენოთ ცოცხალი დიაგრამისათვის, თუ მოხერხდება სხვადასხვა წლების გამოშვების წარმომადგენლების მოწვევა. ამ დიაგრამის მონაწილეებმა შეიძლება ციფრებით, ფაქტებით უჩვენონ დამსწრეებს — როგორ მიმდინარეობდა საბ. ბაღის ზრდა და რა მისცა მათ საბ. ბაღმა მომავალი სწავლისათვის, მუშაობისათვის.

სასურველია მშობელთა თათბირი დამთავრდეს მხატვრული განყოფილებით.

საბ. ბაღის ზრდის მაჩვენებელი ცნობები, მონაცემები, შეიძლება დიაგრამით გამოიხატოს, რომელიც ისეთ ადგილას უნდა მოთავსდეს, რომ ყველა მშობელმა შესძლოს ნახვა.

იქვე მოთავსდება კედლის გაზეთიც, რომელშიც ასახული იქნება სკოლამდელი საქმის განვითარება 20 წლის მანძილზე და საბ. ბაღის ცხოვრება. კედლის გაზეთში მონაწილეობა უნდა მიიღონ საბ. ბაღის ბავშვებმა, მშობლებმა, ყოფილმა აღსაზრდელებმა.

საბჭოთა საქართველოს 20 წლისთავის დღესასწაული საბ. ბაღში—ეს არის აგრეთვე მთელ საქართველოში სკოლამდელი საქმის გამარჯვებათა დათვალიერებისა, თითოეული საბ. ბაღის გამარჯვებათა და მიღწევების დათვალიერების დღე.

ეს დღე აღაფრთოვანებს სკოლამდელ მუშაკებს, თავიანთი საქმის ენტუზიასტებს, ახალი აღმავლობისათვის მუშაობაში, სტალინური ეპოქის ბედნიერი ბავშვების აღზრდის ამ პასუხსაგებისა და საპატიო საქმის საუკეთესოდ შესრულებისათვის.

აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განსახკომეებს, სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქის განათ. განყოფილებას და ყველა რაიონის განათლების განყოფილებებს, სკოლამდელთა აღზრდის მუშაკთა კავშირის ოლქკომეებს, რაიკომეებს და პროფრწმუნებულებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკოლამდელთა აღზრდის დაწესებულებებსა და მეთოდურ კაბინეტებში სამუშაო საათების მოწესრიგების შესახებ — სახელმძღვანელოდ.

1. განათლების ორგანოებმა შეამოწმონ სკოლამდელთა აღზრდის დაწესებულებებსა და მეთოდურ კაბინეტებში გრაფიკით (ცხრილი) დადგენილი საათები, თანამშრომელთა სამუშაოზე გამოცხადებისა და სამუშაოდან წასვლის შესახებ — აგრეთვე ტაბელის ან საალრიცხვო რვეულის წარმოების წესი, სამუშაო საათებში თანამშრომლების საბ. ბაღის საქმეებზე წასვლის გამო.

2. გრაფიკში, ყოველი ცვლილების შეტანის შემთხვევები სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების გამგისა და მეთოდური კაბინეტის მიერ უნდა ფორმდებოდეს წერილობითი განკარგულებების სახით და ეცნობოდეს თანამშრომლებს ხელის მოწერით დროულად.

3. საბ. ბაღის გამგის სამუშაო დრო არანორმირებულია. გამგის სამუშაო დროს დღეში უნდა შეადგენდეს არა ნაკლებ 8-საათისა — ამაში შევა ბავშვებთან მუშაობის საათებიც თუ კი ის ასეთს ატარებს.

საბ. ბაღის გამგე ხელფასს იღებს სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1939 წლის 29—აპრილის დადგენილებისა და პროფკავშირთა საკ. ც. საბჭოს სამდივნოს 1939 წლის 7—ოქტომბრის გადაწყვეტილების №—584 შესაბამისად.

4. საბ. ბაღის გამგემ გრაფიკი ისე უნდა ააგოს, რომ მთელი სამუშაო დღის განმავლობაში საბ. ბაღის გამგე ან პასუხისმგებელი პირი — მისი შემცვლელი — იმყოფებოდეს საბ. ბაღში. გრაფიკის მიხედვით სამუშაო პროცესში გათვალისწინებული დასასვენებელი დრო, საბ. ბაღის გამგეს უფლება აქვს გამოიყენოს თავის საჭიროების მიხედვით.

5. საბ. ბაღის სამნეო ნაწილის გამგის სამუშაო დრო არა ნორმირებულია, მის სამუშაო დროის საერთო ხანგრძლივობას უნდა შეადგენდეს არა ნაკლები 8—საათისა დღეში.

6. სკოლამდელთა აღზრდის მეთოდური კაბინეტის გამგისა და მეთოდისტების სამუშაო დრო არანორმირებულია, რომლის საერთო სამუშაო დროის ხანგრძლივობას უნდა შეადგენდეს არა ნაკლები 8—საათისა, ამ დროში შედის საბ. ბაღის მეთოდური წრეების, სემინარების, კონსულტაციების სამუშაო დრო.

7. სამუშაო დროის ხანგრძლივობა საბ. ბაღისა და სკოლამდელი მეთოდური კაბინეტების ყველა სხვა მომუშავეებისათვის (ლაბორანტი, მემანქანე, მოანგარიშე, მზარეული, დამლაგებელი, მეეზოვე და სხვ.) წესდება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1940 წ. 26—ივნისის ბრძანებულობის შესაბამისად.

8. საბ. ბაღისა და სკოლამდელი აღზრდის მეთოდური კაბინეტების გამგეებს ევალებათ საბ. ბაღის შინაგანაწესი შეუფარდონ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1940 წლის 26—ივნისის ბრძანებულობას.

9. საბ. ბაღის აღმზრდელების ან სკოლამდელი აღზრდის მეთოდური კაბინეტების მეთოდისტების — დაწესებულების არა სამუშაო საათებში მოწყობილ — პედაგოგიურ საბჭოებზე, თათბირებზე, მორიგეობა ან სხვა გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებებზე დაუსწრებლობა ან დაგვიანებისათვის დამნაშავენი მიეცემიან დისციპლინარულ პასუხისგებაში — შინაგანაწესით გათვალისწინებული სასჯელის დადებით.

10. ბავშვებთან პედაგოგიური მუშაობის ნორმად ძირითადად დაცული იქნეს 6—საათის სამუშაო დრო.

კვალიფიციური კადრების უყოლობის შემთხვევაში შემცვლელი აღმზრდელის საა-

თები უნდა დაეთმოს ძირითად აღმზრდელს, აეკრძალოს საბ. ბაღის აღმზრდელებს ბავშვებთან სამუშაო საათებში (ექსკურსია, ძილი და სხვ.) გარეშე პირებთან საუბარი, წიგნები სკითხვა და სხვა სამუშაოების შესრულება.

11. შრომის ნაყოფიერების ზრდისა და სამუშაო დროის შემჭიდროების მიზნით, დაევალოთ საბ. ბაღის აღმზრდელებს გამგის კონტროლის ქვეშ მოემზადონ სათანადოდ ბავშვებთან მეცადინეობის ჩატარებისათვის ყოველდღიურად აგეგმონ და აღრიცხონ თავიანთი მუშაობა.

12. სკოლამდელთა აღზრდის მეთოდურმა კაბინეტებმა ისე ააგონ თავიანთი მუშაობის გრაფიკი, რომ კაბინეტის სამუშაო საათები (წრეები, სემინარები, კონსულტაციები, გამოფენები, ლექციები) შეუფარდონ აღმზრდელების მომსახურეობას — ბავშვებთან მუშაობის დამთავრების შემდეგ. საჭიროების შემთხვევაში დაწესდეს მუშაობა მორიგეობით დღისა და საღამოს საათებში.

13. საბ. ბაღების გამგეებისა და აღმზრდელების მეთოდურ დარგში ფართო მომსახურეობისათვის მოეწყოს ქალაქებისა და რაიონების მეთოდ-კაბინეტების მუშაობა კვირა დღეებში. კაბინეტის მუშაკებს ნაცვლად გამოსასვლელი კვირა დღისა დასასვენებლად მიეცეთ სხვა რომელიმე სამუშაოდღე.

14. პედაგოგიური თათბირები და რაიონის საბ. ბაღების მუშაკთა მეთოდური გაერთიანებები უნდა იწვეოდეს თვეში ერთხელ აღმზრდელების არა სამუშაო საათების დროს.

იმ რაიონებში, სადაც სოფლის საბ. ბაღები დაშორებულია რაიონის ცენტრიდან, მეთოდური გაერთიანებები უნდა ჩატარდეს უბნობრივად. აუცილებლობის შემთხვევაში დაშვებული იქნეს სამუშაო დროს მუშაკების შეკრება საუბნო გაერთიანებაზე იმ პირობით, თუ ბავშვებთან მუშაობას ჩაატარებს საბ. ბაღის გამგე ან სხვა რომელიმე აღმზრდელი.

15. ღია მეცადინეობაზე საბ. ბაღში აღმზრდელების დასწრება შეუძლიათ არა სამუშაო საათების დროს მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში სამუშაო საათების დროს იმ პირობით თუ აღმზრდელს ბავშვებთან მუშაობაში შეცვლის ან საბ. ბაღის გამგე ან სხვა რომელიმე აღმზრდელი.

16. ქალაქის საბ. ბაღების გამგეთა თათბირები რაიონისა და ქალაქის განათ. განყოფილებებში უნდა ჩატარდეს თვეში ერთხელ საბ. ბაღის სამუშაო დღის მეორე ნახევარში. სოფლის საბ. ბაღების გამგეთა თათბირები რაიონის განათ. განყოფილებებში უნდა ჩატარდეს ორ თვეში ერთხელ საბ. ბაღების სამუშაო დღის მეორე ნახევარში.

17. რაიონის განათლების განყოფილებათა სკოლამდელი ინსპექტორების სამუშაო დრო არანორმირებულია. განათლ. განყოფილების სკოლ. ინსპექტორს და სკოლამდელი მეთოდური კაბინეტის მეთოდისტებს განათ. განყოფილების გამგის ნებართვით შეუძლიათ აწარმოონ პედაგოგიური მუშაობა საშუალოდ არანაკლებ 8—საათისა კვირაში.

18. ყველა სახის მეთოდური მუშაობა აღმზრდელებთან აგრეთვე საბ. ბაღის გამგეების თათბირები რაიონში უნდა ტარდებოდეს მტკიცე კალენდარული გეგმის მიხედვით, რომელიც დამტკიცებულია რაიონის, ქალაქის განათ. განყოფილების მიერ და დაყვანილია საბავშვო ბაღის თითოეულ მუშაკამდე.

შენიშვნა: მუხლი №—3 განმარტებისათვის:

მესამე მუხლში დასახელებული დადგენილებების მიხედვით, საბ. ბაღის გამგის ხელფასის გამოანგარიშება ხდება: სტაჟის, განათლებისა და საბ. ბაღის სამუშაო დღის ხანგრძლივობის მიხედვით დამატებით 20%-სა გამგეობისათვის. მაგ. თუ საბ. ბაღის გამგე არის საშუალო განათლებით, მუშაობის სტაჟი აქვს ხუთ წელზე მეტი და საბ. ბაღი მუშაობს 9 საათს, თვეში ასეთი საბ. ბაღის გამგის ხელფასის განაკვეთი უდრის 260 მან. 6—საათის მუშაობისათვის, ხოლო 130 მანეთი 3 — საათის მუშაობისათვის-390 მან. ამას დაემატება 20% გამგეობისათვის 78 მან. სულ 390+78=468 მან.

საქ. სსრ განსახკომის მოადგილე

მ. ბურჭულაძე

„ვამტკიცებ"
განათლ. სახ. კომისრის მოადგილე
მ. ბურჭულაძე

1940 წ. 19 ოქტომბერი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დებულება

საქართველოს სს რესპუბლიკის ანტირელიგიური მუზეუმისა

I. საერთო დებულებანი

1. საქართველოს სს რესპუბლიკის ანტირელიგიური მუზეუმი არის სამეცნიერო-კვლევითი და პოლიტიკურ-საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების საფუძველზე ნივთების, დოკუმენტების, ძეგლებისა და მხატვრული ნიმუშების ჩვენებით ასახავს რელიგიისა და ათეიზმის განვითარების ისტორიულ პროცესს საქართველოში.

2. საქართველოს სს რესპუბლიკის ანტირელიგიური მუზეუმი შედის საქართველოს სს რესპუბლიკის განათლების სახ. კომისარიატის სისტემაში, რომელსაც უშუალოდ ექვემდებარება და აწარმოებს მუშაობას მისი ხელმძღვანელობით.

II. მუზეუმის მიზნები და ამოცანები

3. საქართველოს სს რესპუბლიკის ანტირელიგიური მუზეუმის ამოცანებს შეადგენს:

ა) საქართველოში რელიგიისა და ათეიზმის განვითარების ისტორიული პროცესისა და სოციალისტური მშენებლობის შესწავლა, ასახვა და ჩვენება;

ბ) დაგროვილ, დამუშავებულ და შესაფერისად გაფორმებულ მასალათა გამოფენების მეშვეობით მშრომელთა ფართო მასებისათვის რელიგიისა და ათეიზმის განვითარების ისტორიის შესახებ სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შედეგების გაცნობა;

გ) ფართო პოლიტიკურ-საგანმანათლებლო მუშაობის მეოხებით მშრომელთა მასებისათვის რელიგიისა და ათეიზმის განვითარების ისტორიული პროცესის და სოციალისტური მშენებლობის გაცნობა;

დ) სახელმწიფო, პარტიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა, სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებებისა, სკოლებისა, მეცნიერული მუშაკებისა, პოლიტიკურ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მუშაკებისათვის დახმარების გაწევა რელიგიისა და ათეიზმის განვითარების ისტორიისა და სოციალისტური მშენებლობის საკითხების შესწავლა-დამუშავებაში.

4. თავისი ამოცანების განსახორციელებლად მუზეუმი:

ა) სისტემატურად აგროვებს, ინახავს და ამუშავებს რელიგიისა და ათეიზმის ისტორიის და სოციალისტური მშენებლობის ამსახველ ნივთებს, დოკუმენტებს, ძეგლებს, სამეცნიერო კოლექციებს, მხატვრულ და ზეპირსიტყვაობის ნიმუშებსა და სხვა მასალებს, რომლებსაც იძენს სახელმწიფო დაწესებულებებისა, ორგანიზაციებისა და ცალკეული პირებისაგან, აგრეთვე სხვა მუზეუმებთან მასალის გაცვლის მეშვეობით;

ბ) სამეცნიერო-კვლევითი მუშაობისა და სამუზეუმო მასალის შეგროვების მიზნით აწყობს ექსკურსიებს, ექსპედიციებსა და ისტორიული ძეგლების გამოკვლევას, სხვადასხვა რელიგიური დღესასწაულების შესწავლას, აგრეთვე მონაწილეობას იღებს სხვა მუზეუმებისა და სამეცნიერო ორგანიზაციების მიერ მოწყობილ ექსპედიციებსა და გამოკვლევებში;

გ) საქართველოს სს რესპუბლიკის ფარგლებში აწარმოებს რელიგიისა და ათეიზმის ისტორიის ამსახველი ძეგლების აღრიცხვას, რეგისტრაციას, დაცვასა და შესწავლას. ამ მიზნით მუზეუმი უკავშირდება მატერიალური კულტურის ძეგლთა დაცვის განყოფილებასა და მებრძოლ უღმერთოთა კავშირის ცენტრალურ საბჭოს;

დ) აწყობს რელიგიისა და ათეიზმის ის-

ტორიის და სოციალისტური მშენებლობის ამსახველი ნივთების, დოკუმენტებისა და სხვა მასალის თემატიკურ ექსპოზიციებს და სპეციალურ და მიზნობრივ გამოფენებს (მუდმივსა და დროებითს);

ე) რელიგიისა და ათეიზმის ისტორიის საკითხებზე მომსახურებას უწევს სახელმწიფო დაწესებულებებს, პარტიულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებებს, სკოლებს, მეცნიერ მუშაკებს, პოლიტიკურ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მუშაკებს როგორც მუზეუმში მოწყობილ გამოფენებითა და ექსპონატებით, ისე თავისი ცალკეული მასალების ფოტოსურათებისა და ასლების გადაღებით და აგრეთვე სპეციალური მოხსენებების, ლექციებისა და რეფერატების მოწყობით და მუზეუმის მიერ დამუშავებული ნაშრომებით;

ვ) მეცნიერული თანამშრომლობის, გამოცდილების გაზიარებისა და კოლექციების გაცვლის მიზნით ამყარებს ურთიერთობას როგორც სხვა მუზეუმებთან, ისე სათანადო სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებებთან და სხვა ორგანიზაციებთან, რომლებსაც აწვდის ინფორმაციას თავისი გეგმების შესახებ, უგზავნის თავის ნაშრომებს და მათგან იღებს მათ მიერ დამუშავებულ და მუზეუმებისათვის საინტერესო ნაშრომებსა და მასალებს;

ზ) მუზეუმის ექსპონატების, გამოფენების და აგრეთვე რელიგიისა და ათეიზმის ისტორიის ამსახველი ძეგლების და სხვა ობიექტების დასათვალიერებლად ორგანიზებული ექსკურსიების ჩატარების მიზნით ამყარებს კავშირსა და ურთიერთობას სახელმწიფო დაწესებულებებთან და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, სკოლებთან და პოლიტსაგანმანათლებლო დაწესებულებებთან და მომსახურებას უწევს როგორც ექსკურსიებს, ისე ცალკეულ მომსვლელებს;

თ) თავისი მასალებით, ლექციებისა და რეფერატების მოწყობით და მეთოდური მითითებებით ეხმარება სკოლებს ისტორიის სწავლებაში თვალსაჩინოების გაძლიერების საქმეში, ხოლო პოლიტსაგანმანათლებლო დაწესებულებებს — ისტორიულ, ეთნოგრაფიულ, საბუნებისმეტყველო, ანტირელიგიურ და სხვა თემებზე ლექციების, მოხსენებებისა და გამოფენების მოწყობაში;

ი) აწარმოებს მეცნიერულ საცნობო-საკონსულტაციო მუშაობას რელიგიისა და ათეიზმის ისტორიის საკითხებზე;

კ) თავისი მუშაობის თემატიკის შესაბამისად დაამუშავებს და ამზადებს გამოსაცემად მეცნიერულ შრომებს, კატალოგებს, ანტირელიგიურ კრებულებს, ანტირელიგიურ კალენდრებს, მეგზურებსა და ცნობარებს;

ლ) საჭიროების მიხედვით აწყობს თავის ფილიალებს საქართველოს სს რესპუბლიკის სხვადასხვა ადგილებში.

III. მუზეუმის სტრუქტურა

5. მუზეუმში არსებობს შემდეგი ძირითადი განყოფილებანი:

ა) შესავალი განყოფილება;

ბ) რელიგიისა და ათეიზმის ზოგადი ისტორიის განყოფილება;

გ) საქართველოს რელიგიური და ათეისტური ისტორიის განყოფილება;

დ) სოციალისტური მშენებლობის განყოფილება;

ე) ადმინისტრაციულ-სამეურნეო განყოფილება.

6. გარდა ძირითადი განყოფილებებისა, მუზეუმი, საჭიროების მიხედვით, აწყობს სამეცნიერო ხასიათის სხვადასხვა ქვეგანყოფილებებს (კაბინეტებს).

7. მუზეუმის სტრუქტურას ამტკიცებს საქართველოს სს რესპუბლიკის განათლების სახ. კომისარიატი, რომლის გარეშე არ შეიძლება მუზეუმის დამტკიცებული სტრუქტურის შეცვლა ან ქვეგანყოფილებების (კაბინეტების) დაარსება.

8. თავისი ამოცანების განხორციელების მიზნით მუზეუმი ქმნის როგორც ქალაქ თბილისის, ისე რაიონების სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებებში, საწარმოებში, სკოლებში და სხვა, რელიგიისა და ათეიზმის ისტორიის მოყვარულთა აქტივს და ამყარებს მათთან მჭიდრო კავშირს, როგორც მუზეუმის თანამშრომელ-კორესპონდენტებთან.

IV. მუზეუმის მმართველობა

9. მუზეუმს სათავეში უდგას დირექტორი, რომელიც პასუხისმგებელია მუზეუმის მთელი სამეცნიერო-კვლევითი, პოლიტსაგანმანათლებლო, საფინანსო და ადმინისტრაციულ-სამეცნიერო საქმიანობისათვის.

10. მუზეუმის დირექტორს ნიშნავს და ანთავისუფლებს საქართველოს სს რესპუბლიკის განათლების სახ. კომისარი.

მუზეუმის დირექტორად შეიძლება დაინიშნოს ისეთი პირი, რომელსაც აქვს სპეციალური ან საერთო უმაღლესი განათლება.

11. მუზეუმის დირექტორი ასრულებს საქართველოს სს რესპუბლიკის განათლების სახ. კომისარიატის დირექტივებსა და განკარგულებებს.

12. მუზეუმის დირექტორის მოვალეობას შეადგენს:

ა) მუზეუმის მთელი სამეცნიერო-კვლევითი, პოლიტიკურ-საგანმანათლებლო, ფინანსიური და ადმინისტრაციულ-სამეურნეო საქმიანობაზე უშუალო ხელმძღვანელობა;

ბ) საჭირო ღონისძიებათა დასახვა და გატარება მუზეუმის ამოცანების განსახორციელებლად და მისი სამუშაო გეგმების შესასრულებლად, აგრეთვე მუზეუმის მუშაკთა კვალიფიკაციის ასამაღლებლად;

გ) მუზეუმის წარმომადგენლობა სხვა დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში.

13. მუზეუმის განყოფილებათა გამგეებს და მეცნიერ მუშაკებს ნიშნავს და ანთავისუფლებს საქართველოს სს რესპუბლიკის განათლების სახ. კომისარიატი მუზეუმის დირექტორის წარდგენით.

14. მუზეუმის დანარჩენი ადმინისტრაციულ-სამეურნეო და ტექნიკური მუშაკების მიღებას, დანიშვნასა და დათხოვნას აწარმოებს მუზეუმის დირექტორი.

15. მუზეუმის განყოფილების გამგე არის მთელი სამეცნიერო-კვლევითი და საექსპოზიციო მუშაობის ხელმძღვანელი თავისი განყოფილების ხაზით.

განყოფილების გამგე პასუხისმგებელია განყოფილების ქონების დაცვისათვის, მისი სამეცნიერო კოლექციებისა და სხვა სამუზეუმო მასალების რეგისტრაციისა, მეცნიერულად დამუშავებისა და გამოსაყენებლად განლაგებისათვის.

16. მუზეუმის ერთერთი განყოფილების გამგე ითვლება მუზეუმის სწავლულ მდივნად.

V. მუზეუმის სამეცნიერო საბჭო

17. მუზეუმის მთელი სამეცნიერო-კვლევითი და პოლიტიკურ-საგანმანათლებლო მუშაობის კოორდინაციისა და მუზეუმის მუშაობის ძირითადი საკითხების განხილვის მიზნით მუზეუმის დირექტორთან სათათბირო ორგანოს სახით არსდება სამეცნიერო საბჭო.

18. სამეცნიერო საბჭოს შემადგენლობაში შედიან: მუზეუმის დირექტორი (საბჭოს თავმჯდომარე), მუზეუმის სწავლული მდივანი, მუზეუმის განყოფილებათა გამგეები და უფროსი მეცნიერი მუშაკები, საქართველოს სს რესპუბლიკის განათლების სახ. კომისარიატის პოლიტსაგანმანათლებლო სამმართველოს, საქ. სახელმწიფო მუზეუმის, მატერიალური კულტურის ძეგლთა დაცვის განყოფილების ,მებრძოლ უღმერთოთა კავშირის ცენტრ. საბჭოს და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები და პერსონალურად მოწვეული ცალკეული სპეციალისტები.

სამეცნიერო საბჭოს შემადგენლობას ამტკიცებს საქართველოს სს რესპუბლიკის განათლების სახ. კომისარიატი.

19. სამეცნიერო საბჭო იკრიბება არანაკლებ ერთხელ თვეში და განიხილავს შემდეგ საკითხებს:

ა) მუზეუმის მიერ პარტიისა და მთავრობის დირექტივების შესრულების საკითხს;

ბ) მუზეუმის სამეცნიერო-კვლევითი და პოლიტსაგანმანათლებლო საქმიანობის საერთო წარმართვის საკითხებს;

გ) მუზეუმის მუშაობის ძირითადი ამოცანებიდან გამომდინარე საკითხებს და ამ ამოცანების შესრულების ღონისძიებებს;

დ) მუზეუმის მუშაობის წლიურსა და კვარტალურ გეგმებსა და ანგარიშებს;

ე) მუზეუმის განყოფილებათა და დამხმარე დაწესებულებათა ორგანიზაციისა და რეორგანიზაციის საკითხებს;

ვ) მუზეუმის ძირითადი გამოფენებისა და ექსპოზიციის პროექტებსა და თემატიკას;

ზ) მუზეუმის მუშაკთა მომზადება-გადამზადების და მათი კვალიფიკაციის ასამაღლებელ ღონისძიებებს.

სამეცნიერო საბჭოს დადგენილებებს ამტკიცებს მუზეუმის დირექტორი და აფორმებს ბრძანების სახით.

20. გარდა მუდმივი სამეცნიერო საბჭოსი, მუზეუმს შეუძლია მოაწყოს კომისიები ცალკეული მეცნიერულ-თეორიული და პრაქტიკული საკითხების დასამუშავებლად, ამ კომისიებში შესაფერისი სპეციალისტების მოწვევით.

VI. მუზეუმის მატერიალურ-უფლებრივი მდგომარეობა

21. მუზეუმი სარგებლობს იურიდიული პირის უფლებებით და აქვს დამტკიცებული ნიმუშის ბეჭედი.

22. მუზეუმის მთელი მოძრავი და უძრავი ქონება შეადგენს სახელმწიფო საკუთრებას და მისი განსხვისება არ შეიძლება საქართველოს სს რესპუბლიკის განათლების სახ. კომისარიატის გარეშე.

23. მუზეუმის შტატს ამტკიცებს საქართველოს სს რესპუბლიკის განათლების სახ. კომისარიატი.

24. მუზეუმს აქვს თავისი შემოსავალ-გასავლის წლიური ხარჯთაღრიცხვა, რომელსაც ამტკიცებს საქართველოს სს რესპუბლიკის განათლების სახ. კომისარიატი.

25. მუზეუმის სახსრები შესდგება:

ა) საქართველოს სს რესპუბლიკის განათლების სახ. კომისარიატის ბიუჯეტით გათვალისწინებულ სახსრებისაგან;

ბ) სპეციალური სახსრებისაგან (შემოსავალი გამოფენებიდან და სხვ.).

26. მუზეუმს აქვს საბიუჯეტო და მიმდინარე ანგარიში სახელმწიფო ბანკში.

27. კრედიტების განმკარგულებელი დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვის ფარგლებში არის მუზეუმის დირექტორი.

28. საქართველოს სს რესპუბლიკის განათლების სახ. კომისარიატის ნებართვით მუზეუმს შეუძლია მოაწყოს დამხმარე დაწესებულებები: ბიბლიოთეკა, ლაბორატორიები, სარესტავრაციო და სამულაჟო სახელოსნო, ფოტოლაბორატორია და სხვ.

უკეთუ შეუძლებელია მუზეუმთან ამა თუ იმ დამხმარე დაწესებულების მოწყობა, მუზეუმს შეუძლია გადასცეს ხელშეკრულებით სათანადო სამუშაოების შესასრულებლად სხვა სახელმწიფო, საზოგადოებრივ და კოოპერატიულ ორგანიზაციებს.

29. თავის სამუშაო გეგმებს, ანგარიშებს და აგრეთვე სტატისტიკურ და სხვა ცნობებს მუზეუმი წარუდგენს საქართველოს სს რესპუბლიკის განათლების სახ. კომისარიატს.

30. მუზეუმის ლიკვიდაცია შესაძლებელია მოხდეს მხოლოდ საქართველოს სს რესპუბლიკის სახ. კომისართა საბჭოს დადგენილებით.

პ/მგ. რედაქტორის მაგ. მ. ბურჭულაძე პ/მგ. მდივანი ნ. ტაბაშვილი

გადაეცა წარმოებას 1941 წ. 24/I ხელმოწერილია დასაბეჭდად 1941 წ. 22/II ფორმატი 8×12
ქაღალდის ზომა 70×105 ფორმათა რაოდენობა 1½ სასტამბო ნიშანთა რაოდენობა ფორმაში 70.000.
ტირაჟი 3000, შეკვეთა № 398, უე11375
სტამბა გამ-ბა „ზარია ვოსტოკასი“, რუსთაველის ბრ., 36.

Тип. „Заря Востока“. Тбилиси, Руставели, 36.
Заказ № 398 УЭ 11375 Тираж 3000

Сборник приказов и распоряжений на груз. языке НКПроса ГССР. № 1. 5-ый год издания.